# მეთოდოლოგიური და ტერმინოლოგიური პრობლემები თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში და მათი დაძლევის გზები (ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებისათვის)

# Methodological and Terminological Problems in Modern Georgian Grammatical Literature and the Ways to Overcoming them (On the Relation between Form and Content)


დამანა მელიქიშვილი
Damana Melikishvili
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



**საკვანძო სიტყვები:** სუბიექტი, ობიექტი, პირის ნიშნები, დიათეზა.
**Keywords:** Subject, object, personal markers, diathesis.

1. გრამატიკის, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის, კვლევისა და შესწავლის საგანი არის სიტყვის ფორმა და მისი მიმართება შინაარსთან.

2. განსხვავებით ევროპული ენების ერთპირიანი ზმნისაგან, ქართული მრავალპირიანი ზმნა სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნებისა და პირთა შორის მაორიენტირებელი ხმოვანპრეფიქსების მონაცვლეობის საშუალებით არის „წინადადება მინიატურაში“.

3. ქართული მრავალპირიანი ზმნის თრაკიელის გრამატიკის „თარგის“ მიხედვით კვლევამ ბევრი არსებითი ხასიათის მეთოდოლოგიური და ტერმინოლოგიური პრობლემა წარმოშვა, რომელიც დღესაც გადაუწყვეტელია. მათ შორისაა „გვარის კატეგორიის“ პრობლემა.

4. დღემდე, ქართული ენის გრამატიკის საუნივერსიტეტო კურსებში თუ სკოლის სახელმძღვანელოებშიც *R-(th.suf.) -ი* სტრუქტურის ზმნები „პასივებად“, „ვნებითი გვარის“ ზმნებადაა კვალიფიცირებული, მაშინ, როდესაც მათ აშკარად აქტიური შინაარსი აქვთ.

5. ამ პრობლემასთან დაკავშირებით არაერთი მოხსენებაა წაკითხული თუ სტატიაა გამოქვეყნებული: მათ შორის ჩემი სტატიები – *„ტრადიცია და ავტორიტარიზმი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში“, „დოგმატიზმი გრამატიკულ ლიტერატურაში“* და სხვ.

6. ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონის მთლიანი ზმნური ბაზის მასალის სტრუქტურულმა ანალიზმა აჩვენა, რომ *ა-/ი-/უ-/ე- R(th.suf.) -ი* სტრუქტურის ზმნებს (*ვ-ი-მალ-ებ-ი, ვ-ე-მალ-ებ-ი, ვ-ე-ლაპარაკ-ებ-ი, ვ-ე-ჩხუბ-ებ-ი, ვ-ე-ჯაჯგურ-ებ-ი, ვ-ე-მზად-ებ-ი, ვ-ა-ხტ-ებ-ი, ვ-ა-ცხრ-ებ-ი...)* აშკარად აქტიური შინაარსი აქვთ (მათი სუბიექტი აქტიურია) და, შესაბამისად, მათი ვნებითი (პასივის) გვარის ზმნებად კვალიფიკაცია საფუძველს მოკლებულია.

*შემოკლებანი:*

R - Root - ძირი; th. suf - thematic suffix - თემატური სუფიქსი, თემის ნიშანი

*ლიტერატურა:*
**მელიქიშვილი, დ. (2001).** ქართული ზმნის უღლების სისტემა. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.
**შანიძე, ა. (1980).** ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

1. The subject-matter of the research and study of grammar, as one of the branches of linguistics, is the study of the word and its relation with the content.

2. Unlike the mono-personal verb of European languages, the Georgian poly-personal verb is a "sentence in miniature" in itself due to the alternation of subjective and objective person markers and vowel prefixes which make orientation between grammatical persons.

3. The research of Georgian poly-personal verb according to the "model" of the Thracian grammar have gaven rise to many essential methodological and terminological problems, which are still unsolved. Among them is the problem of "Voice category".

4. Until today, in university grammar courses and school textbooks of the Georgian language, verbs of the ***R-(th.suf.) -ი -i*** structure are qualified as "passive", "passive voice verbs" verbs, when they actually have an active content.

5. In connection with this problem, quite a number of articles have been published: including my articles – *"Tradition and Authoritarianism in Georgian Grammatical Literature"*, *"Dogmatism in Grammatical Literature"* and others.

6. The structural analysis of the entire verb material in the eight-volume explanatory dictionary of the Georgian language showed, that verbs of the ***ა- a-/ ი- i-/ უ- u-/ ე- e- R(th.suf.) -i -ი*** *structure (ვ-ი-მალ-**ებ-ი** v-**i**-mal-**eb-i** "I am hiding", ვ-**ე**-მალ-**ებ-ი** v-**e**-mal-**eb-i** "I am hiding myself from him/her", ვ-**ე**-ლაპარაკ-**ებ-ი** v-**e**-lap'arak'-**eb-i** "I am speaking with him/her", ვ-**ე**-ჩხუბ-**ებ-ი** v-e-čxub-**eb-i** "I am fighting with him/her", ვ-**ე**-ჯაჯგურ-**ებ-ი** v-**e**-jajgur-**eb-i** "I am shaking him/her/it", ვ-**ე**-მზად-**ებ-ი** v-**e**-mzad-**eb-i** "I am preparing for something", ვ-**ა**-ხტ-**ებ-ი** v-**a**-xt'-**eb-i** "I am jumping on*

*something", ვ-ა-ცხრ-ებ-ი v-a-cxr-eb-i "I am attacking him/her/it" etc. . .)* clearly have an active content (their subject is active) and, therefore, their qualification as passive verbs is unfounded.

Abbreviations:
R – Root; th. suf - thematic suffix

*References:*


Melikishvili, D. (2001). kartuli zmnis ughlebis sistema. [The System of Conjugation in the Georgian Language]. Tbilisi: Publishing House "Logos presi".

Shanidze, A. (1980). kartuli enis gramatikis sapudzvlebi, t. III. [Basis of the Georgian Language Grammar, vol. III]. "Tbilisi State University Publishing House".